

დამტკიცებულია/Approved by

შპს მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერის დირექტორი/

The Director of Meridian Maritime Training Centre LLC

ირაკლი შარაბიძე Irakli Sharabidze

შპს მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერი

Meridian Maritime Training Centre LLC

მართვის, რეკრუტინგის, შერჩევისა და დანიშნვის პროცედურა

Management, Recruitment, Selection and

Appointment Process

ND2-O10



**MERIDIAN**

ბათუმი, 2024

## ს ა რ ზ ე ვ ი Content

1.	ზოგადი დებულებები/ General Provisions	4
2.	ტერმინთა განმარტებები/Definitions	4
3.	პროცედურების მიზნები და ამოცანები/Goals and objectives of the procedures	4
4.	ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრა და ანალიზი/Determination and analysis of new staff units	6
5.	ცენტრის პერსონალი/Center staff	7
6.	საშტატო (დასაქმების) პროცედურა/Staff (employment) procedure	7
7.	პერსონალის მოზიდვა/ Attracting personnel	8
8.	პერსონალის შერჩევა/ Staff selection	8
9.	პერსონალის გადამზადება, განვითარება და შეფასება / Staff training, development and evaluation	9
10.	პერსონალის მოტივირება და წახალისება/ Motivating and encouraging staff	10
11.	პერსონალის შენარჩუნება/ Retention of personnel	10
12.	პერსონალის როტაცია/Staff rotation	10
13.	სოციალური პროცედურა/ Social procedure	11
14.	შიდა კომუნიკაცია / Internal communication	11
15.	კორპორაციული ეთიკა/ Corporate ethics	11
16.	პერსონალის სამსახურში მიღების წესი/ The procedure for hiring personnel	12
17.	ხელშეკრულების გაფორმება / Signing the contract	12
18.	პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები/ Qualification requirements for hiring personnel	13
19.	კანდიდატთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა/ List of documents to be submitted by candidates	13
20.	გამოსაცდელი ვადა/ Probationary period	13
21.	პერსონალის ფუნქციონალური გეგმა/ Functional plan of personnel	14
22.	პირადი საქმისწარმოება/ Personal proceedings	14
23.	სტაჟირება / Internship	14
24.	პროცედურა/ Procedure	16
25.	ვაკანსიის შექმნა და მოპოვებულია შერჩევის უფლებამოსილება/Vacancy creation and selection authority obtained	16
26.	სამუშაო აღწერილობა/Job description	17
27.	შერჩევის პროცესი/Selection Process	17
28.	პოზიციის რეკლამირება/ Advertise Position	17
29.	გაფილტრულ კანდიდატთა სიის შედგენა/ Drawing up a list of filtered candidates	18
30.	შერჩეული კანდიდატებისთვის ელექტრონული წერილის გაგზავნა/ Email Shortlisted Candidates Application Form	19
31.	გასაუბრების ჩატარება/Conducting an interview	19
32.	სასურველი კანდიდატების არჩევა/ Select Preferred Candidate	19
33.	რეკომენდატორების შემოწმების განხორციელება/ Conduct Reference Checks	20
34.	შეთავაზება დასაქმებაზე/ Offer of Employment	20

### ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

35.	დასაქმებაზე ზეპირი შეთავაზების გაკეთება/ Making an oral offer for employment	20
36.	კანდიდატის თანხობა დასაქმების შესახებ ზეპირსიტყვიერ შეთავაზებაზე/Candidate's consent to oral offer of employment	21
37.	წარუმატებელი კანდიდატებისთვის შეტყობინების გაგზავნა/ Notify Unsuccessful Candidates	21
38.	კომპანიაში ინტეგრირების პროცესის დაწყება/ Commence Induction Process	21
39.	პროცედურაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი	21
40.	დანართები	

**ND2-O10**

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

წინამდებარე პროცედურა წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს და სავალდებულოა შესასრულებლად კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის. პროცედურა არეგულირებს ცენტრში ადამიანური რესურსების მართვის, რეკრუტინგის, შერჩევისა და დანიშნვის საკითხებს. / This procedure is a normative document and is mandatory for all employees of the company. The procedure regulates human resource management, recruitment, selection, and appointment process issues in the company.

<p style="text-align: center;"><b>თავი I.</b> <b>ზოგადი დებულებები</b></p>	<p style="text-align: center;"><b>Chapter I.</b> <b>General Provisions</b></p>
<p><b>1. ზოგადი დებულებები</b></p> <p>1.1. „მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერ“ - ის (შემდგომში „ცენტრი“) რეკრუტინგის, შერჩევისა და დანიშნვის პროცედურა (შემდგომში - „პროცედურა“) შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსის მართვის პრინციპებსა და პროცედურას, პერსონალის სამსახურში მიღების წესსა და პროცედურას და მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.</p> <p>1.2. ადამიანური რესურსი წარმოადგენს დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, რომლებიც ცენტრის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების შესაბამისად ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ახორციელებენ სამსახურეობრივ მოვალეობებს.</p> <p>1.3. წინამდებარე პროცედურები ვრცელდება ცენტრის ყველა პერსონალზე, ასევე ხელშეკრულებით მოწვეულ პირებზე თანასწორობის პრინციპების დაცვით, მათი კომპეტენციის სპეციფიკის გათვალისწინებით.</p> <p>1.4. წინამდებარე პროცედურის მიზნებისათვის ტერმინი ცენტრი აერთიანებს - კოლეჯს და სერტიფიცირებისა და საწვრთნელ ცენტრს.</p>	<p><b>1. General Provisions</b></p> <p>1.1. The recruitment, selection, and appointment procedure (hereinafter - the "Procedure") of "Meridian Maritime Training Center" (hereinafter the "Center") is developed following the applicable laws and defines the principles and policies of human resource management, the rules and procedures for hiring personnel and various related issues.</p> <p>1.2. Human resource is a set of employed persons who perform their duties individually or in a group following the strategic goals and interests of the center.</p> <p>1.3. The present procedures apply to all the staff of the center, as well as to the persons invited by the contract, in compliance with the principles of equality, taking into account the specifics of their competence.</p> <p>1.4. For the purposes of this procedure, the term center includes a college and a certification and training center.</p>
<p><b>2. ტერმინთა განმარტებები</b></p> <p>ა) <b>სასურველი კანდიდატი:</b> კანდიდატი, რომელიც შეირჩა გასაუბრების შედეგად შერჩეული სიიდან თავისუფალი პოზიციის დაკავების მიზნით.</p> <p>ბ) <b>HR მენეჯერი:</b> მენეჯერი, რომელსაც მისდის ინფორმაცია ვაკანტური ან/და ახალად-შექმნილი პოზიციის შესახებ. HR მენეჯერი პასუხისმგებელია შერჩევის პროცესის ზედამხედველობაზე.</p> <p>გ) <b>შერჩევის კრიტერიუმი:</b> დაკავებულ პოზიციაზე მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომლებიც გამოიყენება კანდიდატის შესაფასებლად ინტერვიუს კითხვების შემუშავებისა და განაცხადების შერჩევის დროს.</p> <p>დ) <b>გაფილტრული სია:</b> იმ კანდიდატთა ერთიანი სიის შემუშავების პროცესი, როდესაც ხდება იმ ადამიანების ინტერვიუსთვის არჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს.</p>	<p><b>2. Definitions</b></p> <p><b>a) Preferred Candidate:</b> the candidate selected from the shortlist of candidates interviewed to be appointed to the position.</p> <p><b>b) HR Manager:</b> the Manager to which the vacant and/or new position reports, who is responsible for overseeing the recruitment process.</p> <p><b>c) Selection Criteria:</b> the skills, knowledge, experience, and qualifications required to perform the duties of a position which are used for developing interview questions, evaluating candidates, and shortlisting applications.</p> <p><b>d) Shortlist:</b> a process of elimination to select the candidates that most closely meet the selection criteria to be shortlisted for an interview.</p>
<p><b>3. პროცედურების მიზნები და ამოცანები</b></p>	<p><b>3. Goals and objectives of the procedures</b></p> <p>3.1. The purpose of the procedures is to increase the competitiveness of the center, to employ motivated and</p>

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

3.1. პროცედურების მიზანია გაზარდოს ცენტრის კონკურენტუნარიანობა, დაასაქმოს შესაბამისი უნარების მქონე მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლები. გარდა აღნიშნულისა, პროცედურა მიზნად ისახავს შექმნას გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა ცენტრის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

**3.2. პროცედურების მიზნებია:**

- ა) მოიზიდოს, შეარჩიოს და შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური კადრი;
- ბ) ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად განხორციელება;
- გ) დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, მოტივირებული და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა.

**3.3. პროცედურის ამოცანებია:**

- ა) პერსონალის შერჩევა;
- ბ) პერსონალის მიღება;
- ბ) პერსონალის გადამზადება, განვითარება და შეფასება;
- გ) პერსონალის მოტივირება და წახალისება;
- დ) პერსონალის როტაცია საჭიროების შემთხვევაში;
- ე) სოციალური პროცედურის (უსაფრთხოება/ჯანდაცვა) გატარება;
- ვ) კონფიდენციალურობის დაცვა;
- ზ) შიდა კომუნიკაცია;
- თ) კორპორაციული ეთიკა;

3.4. დეკლარირებული მიზნების განხორციელებისთვის ცენტრი ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურებითა და წესებით.

3.5. პროცედურამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ცენტრის ეფექტიანი ფუნქციონირება და, მეორე მხრივ, დასაქმებულის თვითრეალიზება.

3.6. პროცედურა ეფუძნება ისეთი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორცაა:

- ა) დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა: ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება (დაქირავება, ანაზღაურება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება ყოველი ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, ცენტრისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურებ(ებ)ის გათვალისწინებით;
- ბ) **სამართლიანობა:** ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი;
- გ) თანასწორობა: ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთგვაროვანი მიდგომა. დაუშვებელია გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით თანამშრომლების განსხვავება;
- დ) **თანაბარი შესაძლებლობები:** ცენტრის პერსონალს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ამასთან, ცენტრში მოქმედი შეფასების სისტემა უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე,

committed employees with appropriate skills. In addition to the above, the procedure aims to create an environment where each employee is given the opportunity to realize their potential and aspirations in the process of achieving the strategic goals of the center.

3.2. The goals of the procedures are:

- a) to attract, select and retain highly qualified personnel;
- b) effective implementation of the administrative process;
- c) ensuring employees' motivation, self-realization, motivated and productive activities.

3.3. The policy objectives are:

- a) selection of personnel;
- b) reception of personnel;
- b) personnel training, development and evaluation;
- c) motivating and encouraging staff;
- d) staff rotation if necessary;
- e) implementation of social policy (security/health care);
- f) privacy protection;
- g) internal communication;
- h) corporate ethics;

3.4. For the implementation of the declared objectives, the center is guided by the procedures and rules for the recruitment, integration, development and performance evaluation of visiting/administrative personnel.

3.5. The procedure should ensure, on the one hand, the effective functioning of the center and, on the other hand, the employee's self-realization.

3.6. The procedure is based on such basic principles and values as:

- a) Merit-based approach: key decisions in human resource management (recruitment, remuneration, incentives, promotion, etc.) are made based on the competence of each individual, taking into account his/her merit(s) before the center and society;
- b) Justice: behind any decision there is a fair argument and an objective decision-making criterion;
- c) Equality: a uniform approach is shown to all employees. It is not allowed to discriminate employees based on gender, ethnicity, religion or other reasons the difference
- d) Equal opportunities: Center staff should have equal opportunities to achieve their goals and objectives. In addition, the evaluation system operating in the center should be fair and transparent, however, at the same time, it is necessary to protect the privacy of the person and the principle of inviolability of his private life;
- e) Appropriateness: decisions are made thoughtfully and based on analysis. From the existing alternatives, the most acceptable decision is developed on financial or other rational grounds;
- f) Transparency: human resources management, attraction, selection and appointment are carried out in open and public approaches;
- g) Professional development: taking into account individual requirements, the center constantly takes care of the professional development of invited and administrative staff.

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ



თუმცა, ამავდროულად, აუცილებელია დაცული იყოს პირის კონფიდენციალურობა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი;

ე) **მიზანშეწონილობა:** გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შემუშავება;

ვ) **გამჭვირვალობა:** ადამიანური რესურსების მართვის, მოზიდვის, შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება ღია და საჯარო მიდგომებით;

ზ) **პროფესიული განვითარება:** ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით, ცენტრი მუდმივად ზრუნავს მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

თ) **მონაწილეობის პრინციპი:** ცენტრი უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას.

ი) **ორიენტაცია ხარისხზე:** ცენტრი უზრუნველყოფს დაწესებულებაში საწვრთნელი - სერტიფიცირების საქმიანობის სტანდარტების დახვეწის ხელშეწყობას.

**3.7.** პროცედურა ეფუძნება ცენტრის მისიას, ღირებულებებსა და ძირითად მიზნებს; ასევე იმ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ძირითად გამოწვევებს, რომელთა მიღწევაც სურს ცენტრს ადამიანური რესურსების მიმართულებით და ამ მიზნების სრულყოფისათვის ახორციელებს ჯეროვან ქმედებებს.

h) Principle of participation: the center ensures the full involvement of the staff in the evaluation process of the work performed.

i) Orientation on quality: the center ensures promotion of improvement of standards of training-certification activities in the institution.

3.7. The procedure is based on the center's mission, values and main goals; Also, the main challenges of the local and international practice, which the center wants to achieve in the direction of human resources, and for the fulfillment of these goals, it implements various actions.

**4. ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრა და ანალიზი**

4.1. პროცედურა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას:

ა) **ორგანიზება/დაგეგმვა** - ორგანიზების/დაგეგმვის მიმართულება თავის თავში აერთიანებს ორგანიზაციული განვითარების, საკადრო პროცედურის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს.

ბ) **ორგანიზაციაში შემოსვლა** - ორგანიზაციაში შემოსვლის მიმართულება თავის თავში აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს.

გ) **სამუშაოს მართვა** - ორგანიზაციაში სამუშაოს მართვა თავის თავში აერთიანებს შეფასების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს.

დ) **ორგანიზაციიდან გასვლა** - ორგანიზაციაში გასვლის მიმართულება თავის თავში აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს.

4.2. ცენტრის განვითარების ყოველი მომდევნო სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას ცენტრის დირექტორისა და საერთო კრების მიერ განისაზღვრება ახალი საშტატო ერთეულების საჭიროება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს:

ა) ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნით;

ბ) თანამშრომელთა გათავისუფლებით;

გ) დამატებითი ადამიანური რესურსების მოთხოვნით;

დ) მსმენელთა კონტიგენტის გაზრდით;

**4. Determination and analysis of new staff units**

4.1. The procedure is based on a continuous cycle of human resources management, which includes four alternating directions:

a) Organization/planning - the direction of organization/planning includes the processes of organizational development, personnel procedure development, and development/updation of personnel job descriptions for employees.

b) Entering the organization - the direction of entering the organization includes the processes of recruitment, selection and socialization in the organization.

c) Work management - work management in the organization includes evaluation, Disciplinary punishment and incentive processes.

d) Leaving the organization - the direction of leaving the organization includes the processes of termination of the contract.

4.2. During the development of each subsequent strategic plan for the development of the center, the director of the center and the general assembly determine the need for new staff units, which may result from:

a) by creating a new structural unit;

b) by dismissing employees;

c) by requesting additional human resources;

d) by increasing the contingent of listeners;

e) by building new training courses and training bases;

f) as a result of other circumstances;

4.3. For new staff units, the budget of the center should

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

<p>ე) ახალი საწვრთნელი ტრენინგ კურსებისა და სასწავლო-საწვრთნელი ბაზების შექმნით;</p> <p>ვ) სხვა გარემოებების შედეგად;</p> <p>4.3. ახალი საშტატო ერთეულებისათვის ცენტრის ბიუჯეტში უნდა აისახოს მასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები.</p> <p>4.4. საშტატო ცვლილებები შესაძლებელია უკავშირდებოდეს შესაბამისი საშტატო ერთეულის ფუნქციების ცვლილებას, მის მთლიანად გაუქმებას ან ცალკეული ფუნქციისა თუ მოვალეობის სხვა თანამშრომლებზე გადანაწილებას.</p> <p>4.5. საშტატო ერთეულის ანალიზის დასრულებისა და ახალი საშტატო ერთეულების შემოღების შემდეგ ცენტრი აცხადებს ვაკანსიას წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესის შესაბამისად.</p>	<p>reflect the relevant costs related to it.</p> <p>4.4. Staff changes can be related to changes in the functions of the relevant staff unit, its complete cancellation or the transfer of a separate function or duty to other employees.</p> <p>4.5. After completing the analysis of the staff unit and introducing new staff units, the center announces the vacancy in accordance with the rules established by this procedure.</p>
<p><b>5. ცენტრის პერსონალი</b></p> <p>5.1. ცენტრის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.</p> <p>5.2. ცენტრის სასწავლო-საწვრთნელ პერსონალს განეკუთვნება ინსტრუქტორები და პროფესიული განათლების მასწავლებელი.</p> <p>5.3. ცენტრი უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ინსტრუქტორი და პროფესიული განათლების მასწავლებელი ცენტრის საქმიანობასა და ფუნქციონირებაში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით, ხელმძღვანელობს წინამდებარე პროცედურის შესაბამისად.</p> <p>5.4. ადმინისტრაციულ თანამდებობებს განეკუთვნება დირექტორი(ები), ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი, ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და მენეჯერები.</p> <p>5.5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული (ან შტატგარეშე) პირები, რომლებიც არ არიან ინსტრუქტორები და ადმინისტრაციული თანამდებობის პირები.</p> <p>5.6. ცენტრში ინსტრუქტორების მოწვევის საკითხებს არეგულირებს რეკრუტინგის, შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა ინსტრუქტორებისთვის (ND2-QP11) პროცედურა.</p> <p>5.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის მოწვევის, შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ცენტრის შიგანაწესითა და წინამდებარე პროცედურის შესაბამისად.</p>	<p><b>5. Center staff</b></p> <p>5.1. The staff of the center consists of administrative and support staff.</p> <p>5.2. The training staff of the center includes instructors and vocational education teachers.</p> <p>5.3. The center is authorized to recruit administrative and support staff with appropriate qualifications. In order to participate in the activity and functioning of the center and/or lead this process, the instructor and teacher of professional education shall lead in accordance with the present procedure.</p> <p>5.4. Administrative positions include director(s), head of structural units of the center, quality assurance manager of the center, and managers.</p> <p>5.5. Support staff includes full-time (or part-time) non-instructors and administrative staff.</p> <p>5.6. The recruitment, selection, and appointment procedure for instructors (ND2-QP11) governs the recruitment of instructors to the center.</p> <p>5.7. The procedures for inviting, selecting and appointing vocational education teachers are regulated by the current legislation of Georgia, the internal rules of the center and the present procedure.</p>
<p><b>6. საშტატო (დასაქმების) პროცედურა</b></p> <p>6.1. ცენტრი მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და ფუნქციების განსახორხიელებლად, საშტატო პროცედურის ეფექტურად და სამართლებრივად გატარების მიზნით შტატების შევსების პროცედურას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანი პროცედურებით, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, შენარჩუნებას და განვითარებას.</p> <p>6.2. ცენტრის დასაქმების პროცედურა ემყარება შემდეგ პრინციპებს:</p>	<p><b>6. Staff (employment) procedure</b></p> <p>6.1. Center to carry out its tasks and functions, In order to effectively and legally conduct the staffing procedure of the States The filling procedure is carried out in accordance with the legislation of Georgia with fair procedures, which means attracting qualified personnel, maintenance and development.</p> <p>6.2. The center's recruitment procedure is based on the following principles:</p>

**ND2-O10**

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

<p>ა) თანასწორობა/ თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რას გულისხმობს ცენტრის ყველა თანამშრომლის ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად თანაბარ სამუშაო პირობებით უზრუნველყოფას. მათ შორის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილეობასა და პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობებს.</p> <p>ბ) მრავალფეროვნება - ცენტრი ხელს უწყობს განსხვავებული და მრავალფეროვნანი გამოცდილების, მრწამსის თუ ღირებულებების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობის მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.</p> <p>გ) გამჭვირვალობა - ცენტრის მიერ შემუშავებული დასაქმების პროცედურა და პროცედურები არის ნათლად ჩამოყალიბებული და ფართოდ ხელმისაწვდომი.</p> <p>დ) გამოხატვის თავისუფლება - სიძულვილის ენის რეგულირება.</p>	<p>a) Equality/ provision of equal opportunities, what does it mean? Age, gender, ethnicity, religion or race of all employees of the center Regardless of affiliation, social background or political beliefs to provide equal working conditions. including in university life equal opportunities for participation and professional development.</p> <p>b) Diversity - the center promotes diversity and diversity experience, beliefs or values, socio-economic status, Attracting and employing personnel of nationality or ethnic origin.</p> <p>c) Transparency - the employment procedure developed by the center and Procedures are clearly laid out and widely available.</p> <p>d) freedom of expression - regulation of hate speech.</p>
<p><b>7. პერსონალის მოზიდვა</b></p> <p>7.1. პერსონალის მოზიდვისა და მისი შენარჩუნების სტრატეგია გამომდინარეობს ცენტრის სპეციფიკიდან. ცენტრი, როგორც საზღვაო საწვრთნელი სერტიფიცირების დაწესებულება, ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიცირებული კადრების (მათ შორის მოქმედი დარგის სპეციალისტების) მოზიდვასა და შენარჩუნებაზე.</p> <p>7.2. პერსონალის მოზიდვის ფორმებია შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდვა:</p> <p>ა) პერსონალის მოზიდვი შიდა წყაროა - ცენტრში დასაქმებულ პერსონალი;</p> <p>ბ) პერსონალის მოზიდვის გარე წყაროა - ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული გამოქვეყნებული განცხადებებები, ხელშეკრულებები სხვა საგანმანათლებლო სასწავლებლებთან, საზღვაო კომპანიებთან და ა.შ.</p> <p>7.3. პერსონალის მოზიდვა შესაძლებელია:</p> <p>ა) ცენტრში დასაქმებული პერსონალის წევრების პირადი კონტაქტების გამოყენებით კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებისა და მათი მოზიდვის მიზნით;</p> <p>ბ) სხვადასხვა აკადემიურ კონფერენციებზე, სემინარებსა და შეხვედრებზე ინფორმაციის გავრცელებით არსებული ვაკანსიების შესახებ და პოტენციურ კანდიდატებთან პროფესიული ურთიერთობის დამყარებით;</p> <p>გ) იმ სამთავრობო დაწესებულებებთან, ადგილობრივ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებით, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული განვითარების პროგრამებს პერსონალისათვის;</p> <p>დ) სპეციალური სარეკლამო ბუკლეტის დაბეჭდვით, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს ცენტრის ძლიერ მხარეებზე, დაწესებულ შეღავათებზე, აგრეთვე ცენტრის ფარგლებში არსებულ გარემოზე და ა.შ.</p> <p>7.4. ცენტრი თანამშრომლობს დარგში მოქმედ კომპანიებთან და დაწესებულებებთან, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში</p>	<p><b>7. Attracting personnel</b></p> <p>7.1. The strategy of attracting and retaining staff depends on the specifics of the center. The Center, as a maritime training certification institution, is focused on attracting and retaining qualified personnel (including field specialists) with relevant competencies.</p> <p>7.2. Forms of personnel recruitment are recruitment from internal and external sources:</p> <p>a) recruitment of personnel is an internal source - personnel employed in the center;</p> <p>b) There is an external source of attracting personnel - published announcements placed on the official website of the center, agreements with other educational institutions, maritime companies, etc.</p> <p>7.3. Personnel can be attracted:</p> <p>a) using the personal contacts of the staff members employed in the center in order to contact and attract qualified personnel;</p> <p>b) at various academic conferences, seminars and meetings by disseminating information about existing vacancies and establishing professional relations with potential candidates;</p> <p>c) by establishing a connection with those government institutions, local or international non-governmental organizations that implement professional development programs for personnel;</p> <p>d) by printing a special advertising booklet, which will focus on the strengths of the center, established benefits, as well as the environment within the center, etc.</p> <p>7.4. The center cooperates with the companies and institutions operating in the field, which it applies in case of need in order to attract/find the relevant qualified personnel.</p> <p>7.5. The center is authorized to set different wages for young specialists involved in the educational process.</p>

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ



<p>მიმართავს შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოზიდვის/მოძიების მიზნით.</p> <p><b>7.5.</b> ცენტრი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ ახალგაზრდა დარგის სპეციალისტებს დაუწესოს გასხვავებული შრომის ანაზღაურება.</p>	
<p><b>8. პერსონალის შერჩევა</b></p> <p>8.1. ცენტრი თავის დასაქმებულებში აფასებს პროფესიონალიზმსა და განათლების დონეს, შედეგების მიღწევის ორიენტაციას, ინიციატიურობას, სწავლისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს, კორპორაციული ეთიკის დაცვას.</p> <p>8.2. კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მიზნით ცენტრი ახორციელებს კანდიდატურების შერჩევას საქართველოს კანონმდებლობისა და ცენტრში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ცენტრი უფლებამოსილია პერსონალის შერჩევის მიზნით განცხადება განათავსოს ცენტრის ვებ- გვერდზე.</p> <p>8.3. ცენტრი ხელს უწყობს ახალი დასაქმებულების სწრაფ ადაპტაციას.</p>	<p><b>8. Staff selection</b></p> <p>8.1. In its employees, the center values professionalism and level of education, orientation to achieving results, initiative, ability to learn and apply the acquired knowledge practically, compliance with corporate ethics.</p> <p>8.2. In order to attract qualified personnel, the center carries out the selection of candidates in accordance with the legislation of Georgia and internal normative legal acts in force in the center. The center is authorized to post an application on the center's website for the purpose of selecting staff.</p> <p>8.3. The center promotes quick adaptation of new employees.</p>
<p><b>9. პერსონალის გადამზადება, განვითარება და შეფასება</b></p> <p>9.1. ცენტრი ზრუნავს ცენტრში დასაქმებული პერსონალის პროფესიული ზრდა-განვითარებაზე, შეიმუშავებს პროფესიული განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომეშიც გათვალისწინებული უნდა იქნას ცენტრის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვები და სხვა სახის კვლევები ამ მიმართულებით.</p> <p>9.2. დასაქმებულების პროფესიული განვითარება გულისხმობს ცენტრის პერსონალი კვალიფიკაციის ამაღლებას ყველა დონეზე, პერსონალის მომზადებას, ინდივიდუალური რეზულტატურობის მაღალ მაჩვენებლებს და ხელს უწყობს ცენტრის წინაშე მდგარი მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტას.</p> <p>9.3. პროფესიული განვითარების მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით:</p> <p>ა) ტრენინგების ჩატარება ცენტრის პერსონალისა და დამხმარე პერსონალისათვის;</p> <p>ბ) აკადემიური შვებულება;</p> <p>გ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი კონფერენციების ორგანიზება;</p> <p>დ) ადგილობრივ და სხვა საერთაშორიო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;</p> <p>9.4. პერსონალის განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ცენტრის ფარგლებში პერსონალის ფუნქციების განახლება, სამუშაო დატვირთვის შეცვლა, ახალი მოვალეობების დაკისრება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, მენტორის ფუნქციის შეთავსება და ა.შ.</p> <p>9.5. შესაძლებელია შემუშავდეს მენტორობის პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა კადრების პროფესიულ განვითარებას გამოცდილ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის გზით. მსგავსი პროგრამის განსახორციელებლად ცენტრის</p>	<p><b>9. Staff training, development and evaluation</b></p> <p>9.1. The center takes care of the professional growth and development of the staff employed in the center, develops a strategic plan of professional development, which should take into account the surveys conducted within the center and other types of research in this direction.</p> <p>9.2. The professional development of the employees involves raising the qualifications of the staff of the center at all levels, training of the staff, high indicators of individual results and contributes to the solution of the current tasks facing the center.</p> <p>9.3. The goal of professional development can be achieved through the following measures:</p> <p>a) conducting trainings for the center's staff and support staff;</p> <p>b) academic leave;</p> <p>c) organizing joint conferences with other educational institutions;</p> <p>d) cooperation with local and other international organizations;</p> <p>9.4. Staff development is also facilitated by updating the functions of the staff within the center, changing the workload, assigning new duties, involvement in various projects, combining the function of a mentor, etc.</p> <p>9.5. It is possible to develop a mentorship program that will support the professional development of young staff through joint work with experienced colleagues. To implement such a program, the center can successfully use the experienced academic staff employed by it. Within the framework of the mentoring program, it is possible to organize seminars and workshops, share experience by attending lectures and practical classes, individual work with young academic staff, as well as guiding their research activities, etc.</p>

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

<p>შეუძლია, წარმატებით გამოიყენოს მასთან დასაქმებული გამოცდილი აკადემიური პერსონალი. მენტორობის პროგრამის ფარგლებში, შესაძლოა, განხორციელდეს სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების გაზიარება ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებით, ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური მუშაობა, აგრეთვე მათი კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა და ა.შ.</p> <p>9.6. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია წელიწადში ერთხელ (ყოველი კალენდარული წლის ბოლოს) უზრუნველყოს თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის მიერ მიმდინარე ან/და შესრულებული სამუშაოების შეფასება, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას. შესრულებული ანგარიში უნდა წარედგინოს დირექტორს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.</p> <p>9.7. თვითშეფასების შედეგები ანალიზისათვის ეგზავნება დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერსა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.</p>	<p>9.6. The head of the structural unit is obliged once a year (at the end of each calendar year) to provide an assessment of the ongoing and/or completed work by the employee under his/her subordinate, which is an assessment of the administrative and support staff. The completed report must be submitted to the director in the manner established by this regulation.</p> <p>9.7. The results of the self-assessment are sent to the director, the quality management manager and the human resources management manager for analysis.</p>
<p><b>10. პერსონალის მოტივირება და წახალისება</b></p> <p>10.1. პერსონალის მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ, შრომის შედეგებში დასაქმებულების დაინტერესებულობის ამაღლებისაკენ.</p> <p>10.2. ცენტრი უფლებამოსილია გამოიყენოს მოტივაციის გაზრდის მიზნით წახალისების ფორმები შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.</p>	<p><b>10. Motivating and encouraging staff</b></p> <p>10.1. Staff motivation involves material and non-material stimulation, aimed at attracting and maintaining qualified personnel, raising employee interest in work results.</p> <p>10.2. The center is authorized to use the following forms of incentives in order to increase motivation in accordance with the rules established by the bylaws.</p>
<p><b>11. პერსონალის შენარჩუნება</b></p> <p>11.1. პერსონალის გადინების თავიდან აცილებისათვის და შესაბამისად პერსონალის შენარჩუნებისათვის ცენტრის ხელმძღვანელობა შეისწავლის არსებულ პრობლემებს და იღებს აუცილებელი ზომები მათ აღმოსაფხვრელად.</p> <p>11.2. პერსონალის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი და ეფექტური მეთოდია შეფასებისა და წახალისების სამართლიანი და ობიექტური სისტემის შექმნა, რაც თავის მხრივ განაპირობებს პერსონალის სათანადო მოტივაციასა და ცენტრში მიმდინარე პროცესებში მათ უფრო აქტიურ ჩართვას.</p> <p>11.3. პერსონალის შენარჩუნების გზებია:</p> <p>ა) <b>შრომის ანაზღაურება</b> - სამუშაო დატვირთვის, კვალიფიკაციისა და გაწეულის შრომის შესაბამისად;</p> <p>ბ) <b>შეღავათიანი შრომითი დატვირთვა</b> - ფუნქციებისა და შესაძლებლობების მიხედვით;</p> <p>გ) <b>შესაბამისი პირობების შექმნა</b> - ცენტრი საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს ისეთი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა, როგორცაა თანამედროვე გამოცემებით მდიდარი ბიბლიოთეკები სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინებში, ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, კეთილმოწყობილი ინდივიდუალური სამუშაო ოთახები და ა.შ.</p>	<p><b>11. Retention of personnel</b></p> <p>11.1. In order to avoid the outflow of personnel and, accordingly, to maintain the personnel, the management of the center will study the existing problems and take the necessary measures to eliminate them.</p> <p>11.2. One of the main and effective methods of staff retention is the creation of a fair and objective system of evaluation and incentives, which in turn leads to the proper motivation of the staff and their more active involvement in the ongoing processes at the center.</p> <p>11.3. Ways to retain staff are:</p> <p>a) Remuneration - in accordance with workload, qualification and work performed;</p> <p>b) Preferential workload - according to functions and capabilities;</p> <p>c) Creation of appropriate conditions - within the limits of its own financial capabilities, the center ensures the existence of such material and technical resources as libraries rich in modern publications in various academic disciplines, Internet, computer equipment, well-equipped individual work rooms, etc.</p> <p>d) Effective communication - promotes free exchange of information and introduction of successful practices within the center.</p> <p>e) Working environment - the management of the center</p>

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ

<p>დ) ეფექტური კომუნიკაცია - ხელს უწყობს ინფორმაციის თავისუფალ გაცვლასა და წარმატებული პრაქტიკების დანერგვას ცენტრის ფარგლებში.</p> <p>ე) სამუშაო გარემო - ცენტრის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად უწყობს ხელს თანამშრომლებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამისთვის ცენტრში დამკვიდრებული გუნდური მუშაობისა და მონაწილეობის პრინციპები.</p>	<p>contributes to the establishment of relationships based on mutual respect among employees. For this, the principles of teamwork and participation are established in the center.</p>
<p><b>12. პერსონალის როტაცია</b></p> <p>12.1. როტაციის მიზანია დასაქმებულთა მიერ სხვადასხვა გამოცდილების გაზიარება, ახალი უნარების შექმნა და სამსახურის პროდუქტიულობის ამაღლება. როტაცია ხელს უწყობს ცენტრის საქმიანობის სტაბილურად წარმართვას.</p> <p>12.2. ცენტრი უფლებამოსილია თანამშრომლის როტაცია განახორციელოს საჭიროებიდან გამომდინარე.</p>	<p><b>12. Staff rotation</b></p> <p>12.1. The purpose of rotation is for employees to share different experiences, acquire new skills and increase service productivity. Rotation contributes to the stable management of the center's activities.</p> <p>12.2. The center is authorized to rotate the employee depending on the need.</p>
<p><b>13. სოციალური პროცედურა</b></p> <p>13.1. ცენტრის სოციალური პროცედურის მიზანია უზრუნველყოს მუშაობის, დასვენების, დასაქმებულების სამედიცინო მომსახურების, კეთილგანწყობისა და კომფორტული ატმოსფეროს შექმნა, შრომის ეფექტურობის ამაღლება, კადრების დენადობის შემცირება და კვალიფიციური კადრების მოზიდვა.</p> <p>13.2. ცენტრი უფლებამოსილია აღმოუჩინოს ცენტრის პერსონალს მატერიალური დახმარება დასაქმებულის ან მისი ოჯახის წევრის დაკრძალვის ორგანიზებისათვის, დასაქმებულების შვილების დაბადებისას ან/და ქორწინებისას, საიუბილეო თარიღებისათვის.</p> <p>13.3. ცენტრი უფლებამოსულია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში.</p> <p>13.4. ცენტრისათვის თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება წარმოადგენს უმაღლეს პრიორიტეტს.</p> <p>13.5. ცენტრი უფლებამოსილია თანამშრომლებს შესთავაზოს ნებაყოფლობითი დაზღვევა.</p> <p>13.6. ცენტრის IT და მატერიალური რესურსების მენეჯერი ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ ცენტრში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების სამუშაოთა ცენტრის შიდა და გარე პარამეტრი. საჭიროების შემთხვევაში გამოიძახონ შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლები.</p> <p>13.7. ცენტრის შენობაში შესვლა დასაშვებია ვიზიტორის რეჟისტრში გატარების გზით. უცხო პირებზე გაიცემა „სტუმრის“ (ვიზიტორი) საშვი. აღრიცხვას ახორციელებს ცენტრის ადმინისტრატორები.</p> <p>13.8. ცენტრის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სავაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები ცენტრში დადგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამისად.</p> <p>13.9. ცენტრში მოქმედებს სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო</p>	<p><b>13. Social procedure</b></p> <p>13.1. The purpose of the center's social procedure is to ensure work, rest, medical services for employees, creation of friendly and comfortable atmosphere, increase labor efficiency, reduce staff turnover and attract qualified staff.</p> <p>13.2. The Center is entitled to provide the Center's staff with material assistance for the organization of the funeral of the employee or his family member, for the birth and/or marriage of the employee's children, for anniversaries.</p> <p>13.3. The center is authorized to participate in charitable, sports and cultural events organized by state and non-state organizations.</p> <p>13.4. Health and safety of employees is the highest priority for the center.</p> <p>13.5. The Center is authorized to offer voluntary insurance to employees.</p> <p>13.6. The IT and material resources manager of the center are obliged to constantly monitor the internal and external parameters of the center through the surveillance cameras installed in the center. If necessary, call the representatives of the relevant body.</p> <p>13.7. Entry to the building of the center is allowed by going through the visitor's register. Foreigners are issued a "guest" (visitor) pass. Accounting is carried out by the administrators of the center.</p> <p>13.8. The evacuation plan and evacuation procedures are posted on all floors of the center in a prominent place in accordance with the emergency management plan established in the center.</p> <p>13.9. There is a medical room in the center, which is equipped with medicines necessary for first aid. The doctor of the center ensures the discovery of first aid in the territory of the center.</p>

ND2-O10

ძალაშია/Valid from: 10.06.2021

რევიზიის თარიღი/Revision Date: 04.03.2024

რევიზია/Revision: N3

შემუშავებულია/Developed by: Quality Manager /ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ



<p>მედიკამენტებით. ცენტრის უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ცენტრის ტერიტორიაზე.</p>	
<p><b>14. შიდა კომუნიკაცია</b>  <b>14.1.</b> ცენტრის პერსონალი ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილებისა და კომპეტენციების ფარგლებში ერთმანეთთან ითანამშრომლოს გამჭირვალობის, ღიაობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპებით, ცენტრის წესდების, შინაგანაწესის, და ცენტრში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.</p>	<p><b>14. Internal communication</b>          14.1. The staff of the center is obliged to cooperate with each other within the limits of their powers and competences in accordance with the principles of openness, mutual respect, the charter of the center, internal regulations, and internal normative legal acts in force in the center.</p>
<p><b>15. კორპორაციული ეთიკა</b>          15.1. ცენტრის კორპორაციული ეთიკა გულისხმობს ცენტრის საქმიანობის წარმართვის პრინციპებს, ფასეულობებს, ქცევის სტანდარტებს, შრომით ატმოსფეროს, პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს.          15.2. პერსონალის ჩაცმულობა და გარეგნული იერი უნდა შეესაბამებოდეს მათ თანამდებობრივ მდგომარეობას, ცენტრის შიდა ნორმატიული დოკუმენტით დადგენილ ჩაცმის სტილს (დრეს კოდი).          15.3. პერსონალი პატივს უნდა სცემდეს ცენტრსა და მის ტრადიციებს.          15.4. ცენტრის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან სამსახურებრივი სუბორდინაციის პრინციპი.</p>	<p><b>15. Corporate ethics</b>          15.1. The corporate ethics of the center refers to the principles, values, standards of behavior, working atmosphere, ways of solving problems and means of decision-making.          15.2. The clothing and appearance of the staff must correspond to their official status, the dress code established by the internal normative document of the center.          15.3. Staff must respect the center and its traditions.          15.4. The employees of the center are obliged to observe the principle of official subordination.</p>
<p><b>თავი 2. ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესი</b></p>	<p><b>Chapter 2. The procedure for hiring administrative staff</b></p>
<p><b>16. პერსონალის სამსახურში მიღების წესი</b>          16.1. გარდა დირექტორის, ადმინისტრაციული პერსონალის (მათ შორის ინსტრუქტორების/ პროფესიული განათლების მასწავლებლის) თანამდებობაზე მიღება ხდება დირექტორის ბრძანებით დანიშვნის გზით, წინამდებარე პროცედურების შესაბამისად.          16.2. დირექტორს კანონით გათვალისწინებული წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის საერთო კრება.          16.3. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება ხდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე დანიშვნის გზით, როგორც სამტატო ერთეულით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, ისე შტატგარეშედ.          16.4. დამხმარე პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე სამსახურში მიღება ხდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.          16.5. თანამდებობაზე შეიძლება მიღებულ იქნას პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება. ვაკანსიაზე კონკურენტის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პირებს, რომლებსაც აქვთ კვალიფიკაციის სერტიფიკატები, ფლობენ ერთ ან რამოდენიმე უცხო ენას, აქვთ სათანადო რეკომენდაცია და მუშაობის სტაჟი.</p>	<p><b>16. The procedure for hiring personnel</b>          16.1. In addition to the director, administrative staff (including instructors/professional education teachers) are appointed by order of the director, in accordance with the present procedures.          16.2. The general assembly of the center appoints and dismisses the director in accordance with the law.          16.3. Support personnel are hired in the manner established by the labor legislation, through appointment to the position, both on the positions provided for by the staff unit, and on a freelance basis.          16.4. Recruitment of auxiliary personnel to the vacant position is done by the individual-legal act of the director.          16.5. A person who has the appropriate education can be accepted for the position. If there is competition for the vacancy, preference will be given to persons who have qualification certificates, speak one or more foreign languages, have appropriate recommendations and work experience.          16.6. The director is authorized to establish additional competition conditions, including for each specific vacancy - seniority of work in a specialty.          16.7. An employment contract is signed with the staff for a defined, indefinite or work performance period, by the decision of the director general.          16.8. The signing and organization of documents required for employment is done by the human resources manager.          16.9. A service contract is signed with instructors and</p>



<p>16.6. დირექტორი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი საკონკურსო პირობები, მათ შორის ყოველი კონკრეტული ვაკანსიისათვის - სპეციალობით მუშაობის სტაჟი.</p> <p>16.7. პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით, დირექტორის გადაწყვეტილებით.</p> <p><b>16.8.</b> სამსახურში მისაღებად საჭირო დოკუმენტების გაფორმება და ორგანიზება წარმოებს ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ.</p> <p>16.9. ინსტრუქტორებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.</p>	<p>vocational education teachers.</p>
<p><b>17. ხელშეკრულების გაფორმება</b></p> <p>17.1. ამ წესით დადგენილი შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულ კანდიდატის სამსახურში აყვანისა და კონკრეტულ შტატზე დანიშვნის შესახებ გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.</p> <p><b>17.2.</b> დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია თანამშრომელი მიღებულ იქნას სამსახურში გამოსაცდელი ვადით და გაფორმდეს მასთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება წინამდებარე პროცედურის, შინგანაწესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შედეგად.</p>	<p><b>17. Signing the contract</b></p> <p>17.1. After the completion of the selection procedure established by this rule, an individual-legal act of the director is issued and an employment contract is drawn up regarding the hiring of the selected candidate and appointment to a specific position.</p> <p>17.2. By the decision of the director, it is possible to hire an employee for a probationary period and to sign an appropriate employment contract with him as a result of the present procedure, house rules and the current legislation of Georgia.</p>
<p><b>18. პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b></p> <p>18.1. პერსონალის სამსახურში მიღებისას დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება, შესაბამისობის დადგენა დასაკავებელ თანამდებობასთან.</p> <p>18.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დირექტორის გადაწყვეტილებით, ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, კომპანიის საშტატო ნუსხი შესაბამისად თითოეული თანამდებობისათვის. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დროს მხედველობაში მიიღება კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოსაზრებები.</p> <p>18.3. საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მოიაზრება შესაბამისი განათლება, მუშაობის გამოცდილება, კვალიფიკაცია, და სხვა.</p> <p><b>18.4.</b> პერსონალის სამსახურში მიღების დროს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში პერსონალი სამსახურში არ მიიღება.</p>	<p><b>18. Qualification requirements for hiring personnel</b></p> <p>18.1. The purpose of the qualification requirements established for the recruitment of personnel is to evaluate the candidate's qualifications, to determine their compatibility with the position to be held.</p> <p>18.2. Qualification requirements are determined by the director's decision, taking into account market demand and best practices, the company's staff list for each position. When determining the qualification requirements, the opinions of the head of a specific structural unit are taken into account.</p> <p>18.3. Qualification requirements include relevant education, work experience, qualifications, and more.</p> <p>18.4. In case of non-compliance with the qualification requirements established at the time of hiring the staff, the staff will not be hired.</p>
<p><b>19. კანდიდატთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა</b></p> <p>19.1. ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადინოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) განცხადება სამსახურში მიღების თაობაზე;</p> <p>ბ) ავტობიოგრაფია/CV;</p> <p>გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;</p> <p>დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;</p> <p>ე) სარეკომენდაციო წერილი, რომელიც გაცემულ იქნება კანდიდატისადმი იმ დაწესებულების ხელმძღვანელი</p>	<p><b>19. List of documents to be submitted by candidates</b></p> <p>19.1. To fill the vacant position, the candidate must submit the following documents:</p> <p>a) Application for employment.</p> <p>b) autobiography/CV;</p> <p>c) copies of educational documents;</p> <p>d) copies of qualification documents;</p> <p>e) cover letter;</p> <p>f) Letter of recommendation, which will be issued to the candidate by the head of the institution where the candidate works and/or worked.</p>

**ND2-O10**

